

აივ/ზილსი



ჰეპატიტი



სქესობრივი გზით  
გაღამღები ინფექციები



ჩვენ გვესმის თუ როგორი ძნელია შენთვის პატიმრობაში ყოფნა. იყო შორს შენი საყვარელი ადამიანებისგან, არ შეგეძლოს სურვილების ასრულება, თავისუფალი გადაადგილება, ცხოვრობდე არაკომფორტულ გარემოში და ვინ იცის კიდევ რამდენი პრობლემა და ტკივილი ახლავს შენს დროებით იზოლაციის გარემოში ყოფნას. ალბათ ეს საინფორმაციო ბროშურა არ არის ის რასაც ამ წუთას ისურვებდი, მაგრამ მერწმუნე, რომ იგი შენთვის არის შექმნილი იმ სურვილით, რომ მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომელიც ყოველი ადამიანისათვის საჭიროა, რათა თავიდან აიცილონ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. იმედია, ჩვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შენთვის სასარგებლო და გამოსადეგი იქნება. ყოველთვის იზრუნე საკუთარ ჯანმრელობაზე, სადაც არ უნდა იყო და როგორც არ უნდა იყო. გახსოვდეს, რომ შენი პატიმრობაში ყოფნა დროებითია. ნუ გახდები აივ/შიდსის ან ჰეპატიტის სამუდამო ტყვე.

საუკეთესო სურვილებით ცენტრი “თანადგომა”.

ადამიანთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ აივ/შიდსი მას არ ემუქრება. აღბათ ასევე ფიქრობდა მილიონობით ადამიანი, ვიდრე მათ არ აღმოაჩინეს, რომ ინფიცირებულნი არიან. იმ დროისთვის მათ არ იცოდნენ ამ დაავადების შესახებ და არ შეეძლოთ თავი დაეცვათ მისგან.

## მაგრამ ღღუს უნ ეს შებიძლია!


### რა არის აივ-ი და რა არის შიდსი?

ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს, რომ აივი და შიდსი - ეს ერთიდაიგივეა. აივი ანუ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (შიდსის გამომწვევი ვირუსი) ორგანიზმში შეჭრის შემდეგ აზიანებს იმუნურ სისტემას. ამ ვირუსით გამოწვეულ ინფექციას აივ-ინფექცია ეწოდება.

იმუნური სისტემა წარმოადგენს ძირითად დამცველობით სისტემას, რომელიც ადამიანის ორგანიზმს იცავს სხვადასხვა ინფექციებისაგან. იმუნური სისტემის მოშლის შემდეგ ადამიანი ხდება დაუცველი ნებისმიერი ინფექციის მიმართ, რამაც შესაძლებელია სიკვდილი გამოიწვიოს.

სწორედ ასეთ მდგომარეობას, როდესაც იმუნური სისტემა

განადგურებულია და შესაბამისად, ადამიანის ორგანიზმი დაუცველია ნებისმიერი ინფექციისაგან ეწოდება შიდსი (შექნილი იმუნოდეფიციტის სინდრომი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შიდსი აივ-ინფექციის ბოლო სტადიაა. აივ-ინფექცია საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. იგი დაახლოებით 3-10 წელს (შესაძლებელია მეტიც) გაგრძელდეს.



აივ-ი ანუ შიდსის გამომწვევი ვირუსი შესაძლებელია გადაეცეს სისხლის, სპერმის, ვაგინალური გამონადენის და დედის რძის საშუალებით.



## ალამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი შესაძლებელია გადაემცეს:

- სხვისი კბილის ჯვარის გამოყენებისას;
- სხვისი საპარსი საშუალებების გამოყენებისას;
- ტატუირების („ნაკოლკის“) ვაკეთებისას;
- დაუცველი (უბრეზერვატივოდ) ვაგინალური, ორალური, განსაკუთრებით ანალური ჰეტეროსექსუალური (მამაკაცი ქალთან) და ჰომოსექსუალური (მამაკაცი მამაკაცთან) სქესობრივი კონტაქტის დროს;
- საზიარო ნემსის და შპრიცის მოხმარებისას სამკურნალო მიზნებისათვის;
- ნარკოტიკების ინექციური (ნემსით) გზით მოხმარებისას, საზიარო ნემსის, შპრიცის, ფილტრის, ნარკოტიკის მოსამზადებელი ჭურჭლის გამოყენებისას;
- ორსულობის, მშობიარობისა და ძუძუთი კვების დროს დედიდან შვილზე (თუ დედა ინფიცირებულია);



## აღმნიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი არ გაღამებმა:

- პირადი ჰიგიენის საგნებით - პირსახოცი, თეთრეული, ტანსაცმელი (გარდა სხვისი საპარსი საშუალებების და კბილის ჯაგურისის მოხმარებისა);
- საერთო მოხმარების საგნებით (ჭურჭელი, აბაზანა, პირსახოცი და ა.შ.);
- ხელის ჩამორთმევით, დახველებით, დაცემინებით;
- მწერებისა და ცხოველების ნავებით;
- კოცნით, მოფერებით;

## აივ/შიღის მიმდინარეობა და ნიშნები:

ორგანიზმში ვირუსის შეჭრის მომენტიდან რამდენიმე წლის (საშუალოდ 3-დან 10 წლამდე) განმავლობაში აღამიანს, როგორც წესი, არ აღენიშნება დაავადების რაიმე ნიშნი. ამ პერიოდში იგი ვირუსის მატარებელი ანუ აივ ინფიცირებულია. მოუხედავად ამისა, შესაძლოა

მან ინფექცია სხვა ადამიანს გადასდოს. ზოგიერთ შემთხვევაში პირველი 2-3 თვის განმავლობაში შესაძლოა თავი იჩინონ მცირე სიმპტომებმა (ფარინგიტი, ტემპერატურის მომატება, წონაში დაკლება, ლიმფური კვანძების გადიდება), რომლებიც თავისთავად გაივლის და ამიტომ ნაკლებად იქცევენ ადამიანის ყურადღებას. დაავადების ბოლო, ანუ შიდსის სტადიაზე იმუნიტეტი იმდენად ზიანდება, რომ აღვილად ვითარდება სხვადასხვა სიმსივნური და ინფექციური დაავადებები, მათ შორის ტუბერკულოზი.

### **როგორ უნდა გაიგო, ხარ თუ არა ინფიცირებული?**

ამისათვის საჭიროა სპეციალური ანალიზის ჩატარება აივ/შიდსზე, რისთვისაც ვენიდან იღებენ მცირე რაოდენობით სისხლს (3-5 მლ).

### **როდის უნდა ჩაიბარო ანალიზი?**

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში რთული აღმოსაჩენია, იმისათვის, რომ ანალიზმა მოგცეს სარწმუნო პასუხი, საჭიროა სარისკო ქცევიდან (დაუცველი სქესობრივი კონტაქტი, სხვისი გამოყენებული ნემსის, შპრიცის მოხმარება და სხვა) გასული იყოს მინიმუმ 3 თვე.

## **რას ნიშნავს ანალიზის უარყოფითი და დადებითი პასუხი?**

**უარყოფითი** - ადამიანი არ არის ინფიცირებული, თუმცა, ანალიზამდე 3 თვის განმავლობაში თუ იყო რაიმე სარისკო ქცევა – დაუცველი სქესობრივი კონტაქტი, სხვისი გამოყენებული ნემსის, შპრიცის მოხმარება, ანალიზი საჭიროებს გადამოწმებას, ბოლო სარისკო ქცევიდან 3 თვის შემდეგ.

**დადებითი** - ადამიანი აივ ინფიცირებულია. ამ შემთხვევაში მას ეცნობება არსებული სოციალურ და სამედიცინო სამსახურების შესახებ. ვარდა ამისა, სასურველია მან გაიაროს ტესტის შემდგომ კონსულტირება.

**გაურკვეველი** - სისხლის ანალიზის შედეგი არასაკმარისად მკაფიოა და აუცილებელია განმეორებითი ტესტირება აივ-ზე. განმეორებითი ტესტირება უნდა ჩატარდეს 2 თვის შემდეგ.

## **რატომაა უმჯობესი, ადამიანმა ღროზე გაიგოს თავისი**

### **აივ-სტატუსი (ინფიცირებულია თუ არა)?**

ნებისმიერ შემთხვევაში, რაც ღროზე გაიგებს ადამიანი, ინფიცირებულია თუ არა აივ-ით (შიდსის გამომწვევი ვირუსით), უმჯობესია როგორც მისთვის, ასევე მისი ახლობლებისთვის. ინფიცირებული ადამიანი



უნდა მოერიდოს ისეთ ქცევებს (შემთხვევითი სქესობრივი კონტაქტები, ნარკოტიკების მოხმარება), რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიონ ხელმოკრედ ინფიცირება. აივ-ით მეორედ ინფიცირების შემთხვევაში დაავადება კიდევ უფრო მწვავედ მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, აივ სტატუსის ცოდნა მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების უსაფრთხოების თვალსაზრისითაც.

### **არსებობს თუ არა შიღისი მკურნალობა?**

დღესდღეობით აივ/შიღისის ეფექტური მკურნალობის საშუალება არ არსებობს. ზოგიერთი მედიკამენტი გარკვეულწილად აფერხებს დაავადების შემდგომ განვითარებას და ახანგრძლივებს ადამიანის სიცოცხლეს. ეს პრეპარატები საკმაოდ ძვირადღირებულია და ხანგრძლივ გამოყენებას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, დაავადების სრული განკურნება ვერ ხერხდება.

## თუ გსურს, თავიდან აიცილო აივ-ით (შიღის გამომწვავი ვირუსით) ინფიცირება:



- არასოდეს გამოიყენო სხვისი კბილის ჯვარისი და საპარსი საშუალება!
- ყოველი სქესობრივი კონტაქტის დროს გამოიყენე პრეზერვატივი!
- ნემსები ტატუირებისთვის („ნაკოლკისთვის“) აუცილებლად საჭიროებს სტერილიზაციას – ალუღე 45 წუთის განმავლობაში ან 30 წუთის განმავლობაში მოთავსე 10 %-იან ქლორის შემცველ სადეზინფექციო ხსნარში!
- არასოდეს გამოიყენო სხვისი ნახშირი შპრიცი და ნემსი სამკურნალო მიზნებისათვის!
- თუ შენ მოიხმარ ნარკოტიკებს, არ გამოიყენო სხვისი საინექციო საშუალებები (ნემსი, შპრიცი, ფილტრი, საზიარო ჭურჭელი) ნარკოტიკის მოხმარებისას!
- თუ შენ მოიხმარ ნარკოტიკებს და მაინც მოგიწევს სხვისი საინექციო ინსტრუმენტების გამოყენება,

აუცილებლად მიმართე სტერილიზაციას: ნემსი, შპრიცი, ჭურჭელი ხსნარის მოსამზადებლად მოათავსე 10%-იან ქლორის შემცველ სადეზინფექციო ხსნარში 30 წუთის განმავლობაში. ამასთან, შპრიცი აუცილებლად მოათავსე დაშლილ მდგომარეობაში (მოსხნილი ნემსით). გარდა ამისა, შეგიძლია გამოიყენო სტერილიზაციის მეორე მეთოდი: საინექციო ინსტრუმენტები ადულე წყალში 45 წუთის განმავლობაში!

### **როგორ უნდა მოიქცე, თუ შეამთხვევით იჩხვლიტა სხვისი ნემსი?**

ამ შემთხვევაში აივ-ით ინფიცირების რისკი ძალიან მცირეა. მაგრამ საემაოდ დიდია და **C** ჰეპატიტებით ინფიცირების შესაძლებლობა. თუ შენ შემთხვევით იჩხვლიტე სხვისი ნემსი, ეცადე ხელის დაწოლით სისხლდენის გადლიერებას (სისხლის გამოდენას). ამის შემდეგ დაიმუშავე ჭრილობა 70%-იანი სპირტით (მაგ. ოდეკოლონი ან "ПОСЛЕД ИТЬЯ"-თი). **ქლორის შემცველი ხსნარის გამოყენება ჭრილობის დეზინფექციისთვის არ შეიძლება.**

ახლა, როცა უკვე იცი აივ/შიდსის გადაცემის გზები, გასაგებია, რომ ელემენტარული წესების დაცვით შეგიძლია თავი აარილო დაინფიცირებას. ასევე ცხადია, რომ აივ-ინფიცირებულები საზოგადოებისთვის საშიში არ არიან. საჭიროა მხოლოდ უსაფრთხოების ზომების დაცვა. გასსოვდეს, რომ მათ დახმარება და თანადგომა სჭირდებათ. მეორე მხრივ, ინფიცირებული ყოველმხრივ უნდა ეცადოს, რომ თვითონ არ გახდეს დაავადების გავრცელების მიზეზი.

**ბახსოვდეს, რომ საკუთარი თავის დაცვა მხოლოდ შენ თვითონ შეგიძლია.**

### რა არის ჰეპატიტი?

ჰეპატიტი არის ღვიძლის ანთებითი დაავადება ყველაზე მეტად გავრცელებულია ვირუსული ჰეპატიტები **A, B, C, D.**

### ჰეპატიტებისთვის დამახასიათებელი უმჯობესი კლინიკური ნიშნები:

- სიყვითლე;
- უმადობა და საერთო სისუსტე;
- სახსრების, მუცლის ტკივილი;
- გულისრევა, ღებინება;
- დიარეა (ფაღარათი);
- შარდის გამუქება;
- განაგალის გაუფერულება;
- გამონაყარი კანზე;
- სხეულის ტემპერატურის მომატება;

აღნიშნული სიმპტომები შეიძლება სხვადასხვა ინტენსივობით

ვლინდებოდნენ. არ არის გამოიციხული, რომ დაავადება ყოველგვარი სიმპტომების გარეშე მიმდინარეობდეს. ჰეპატიტებს ახასიათებთ როგორც მწვავე, ისე ქრონიკული მიმდინარეობა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ჰეპატიტის გადაცემის გზები განსხვავებული შეიძლება იყოს, ჩამოთვლილი სიმპტომები ყველა სახის ჰეპატიტისთვის თითქმის საერთოა.

## ჰეპატიტი A

ჰეპატიტი **A** (ბოტკინის დაავადება) - გამოიჩენვა მწვავე და შედარებით კეთილთვისებიანი მიმდინარეობით. ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსი ადამიანის ორგანიზმში ხვდება დაბინძურებული საკვების და წყლის საშუალებით ან პირადი ჰიგიენის წესების დაუცველობის შემთხვევაში (საკვების მიღება დაბინძურებული ხელით).

დაავადების მწვავე პერიოდის განმავლობაში ავადმყოფს ესაჭიროება წოლითი რეჟიმი. გამოჯანმრთელება ხდება მალე (დაახლოებით 1 თვეში) და ყოველგვარი ნარჩენი მოვლენების გარეშე. არ ხდება დაავადების ქრონიკულ ფორმაში გადასვლა. თუმცა,

**თუ შენ გადიხარ კეპატივი A, აუსილაზლად დანახვი შემდეგი წახევი 6-12 თვის განმავლობაში:**

- არ ჭამო შემწვარი, ცხიმიანი (განსაკუთრებით ცხოველური) საკვები და კონსერვები;
- ეცადე მოერილო მძიმე ფიზიკურ დატვირთვას;

**ბახსოვლეს:**

ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება საკმაოდ მანე ზემოქმედებას ახდენენ ღვიძლზე.

ჰეპატივი **A**-ს პროფილაქტიკა მდგომარეობს პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის ნორმების დაცვაში (ხელების დაბანა ყოველი კვების წინ, საკვები პროდუქტების გარეცხვა და სხვა).

**ჰეპატივი B**

ჰეპატივი **B** შესაძლებელია მიმინარეობდეს როგორც მწვავედ, ასევე ქრონიკულად (გახანგრძლივებულად). ინფიცირებულთა 30%-ში დაავადების ნიშნები არ არის გამოსატული. ჰეპატივი **B** გადაეცემა

როგორც სისხლით, ასევე დაუცველი (უპრეზერვატივოდ) სქესობრივი კავშირით.

### **ჰეპატიტი B-ს ვირუსი შესაძლებელია გადაეცეს:**

- სხვისი კბილის ჯვარისის გამოყენებისას;
- სხვისი საპარსი საშუალებების გამოყენებისას;
- დაუცველი (უპრეზერვატივოდ) ვაგინალური, ორალური, ანალური
- სქესობრივი კონტაქტის დროს;
- ტატუირების („ნაკოლვის“) გაკეთებისას;
- სხვისი ნემსის და შპრიცის მოხმარებისას სამკურნალო მიზნებისათვის;
- ნარკოტიკების ინექციური (ნემსით) გზით მოხმარებისას;

### **ჰეპატიტი C**

ჰეპატიტი **C** სშირად მიმდინარეობს ქრონიკულად (განხრდილივებულად). ინფიცირებულთა 80%-ში დაავადების ნიშნები არ არის გამოხატული. ჰეპატიტი **C** ძირითადად სისხლით გადაეცემა, თუმცა არსებობს ინფიცირების რისკი მრავალ პარტნიორთან დაუცველი (უპრეზერვატივოდ) სქესობრივი კავშირისას.



### **ჰეპატიტი C-ს ვირუსი შესაძლებელია გადასას:**

- სხვისი კბილის ჯაგრისის გამოყენებისას;
- სხვისი საპარსი საშუალებების გამოყენებისას;
- ერთეულ შემთხვევაში დაუცველი (უპრეზერვატივოდ) ვაგინალური, ორალური, ანალური სქესობრივი კონტაქტის დროს;
- ტატუირების („ნაილკის“) გაკეთებისას;
- სხვისი ნემსის და შპრიცის მოხმარებისას სამკურნალო მიზნებისათვის;
- ნარკოტიკების ინექციური (ნემსით) გზით მოხმარებისას;

### **ჰეპატიტი D**

ჰეპატიტი **D** დამოუკიდებლად დაავადებას არ იწვევს, ამ ვირუსით ინფიცირდებიან მხოლოდ ჰეპატიტით დაავადებულები ან ინფიცირება სდება **B** ჰეპატიტის ვირუსთან ერთად. **D** ჰეპატიტის გადაცემის გზები იგივეა, რაც **B** ჰეპატიტის, გადაეცემა როგორც სისხლით, ასევე დაუცველი (უპრეზერვატივოდ) სქესობრივი კავშირით.

### თუ გსურს თავიდან აიცილო B, C და D ჰეპატიტებით ინფიცირება:

- არასოდეს გამოიყენო სხვისი კბილის ჯვარისი და საპარსი საშუალება!
- ყოველი სქესობრივი კონტაქტის დროს გამოიყენე პრეზერვატივი!
- ნემსები ტატუირებისთვის („ნაჟოლკისთვის,“) აუცილებლად საჭიროებს სტერილიზაციას – ადულე 45 წუთის განმავლობაში ან 30 წუთის განმავლობაში მოათავსე 10%-იან ქლორის შემცველ სადეზინფექციო სხნარში.
- არასოდეს გამოიყენო სხვისი ნახშიარი შპრიცი და ნემსი სამკურნალო მიზნებისათვის!
- თუ შენ მოიხმარ ნარკოტიკებს, არ გამოიყენო სხვისი საინექციო საშუალებები (ნემსი, შპრიცი, ფილტრი, საზიარო ჭურჭელი) ნარკოტიკის მოხმარებისას!



როგორც უკვე ავლინშეთ, **B, C** და **D** ჰეპატიტებს ხშირად ახასიათებთ ქრონიკული (გახანგრძლივებული) მიმდინარეობა და წლების განმავლობაში შეიძლება აღამიანს განუვითარდეს ისეთი დაავადებები, როგორცაა ღვიძლის ციროზი (ღვიძლის უჯრედების გადაგვარება) და ღვიძლის სიმსივნე (კიბო).

## შინ შვიძლება ღაავადღეს ჰეკატიტი?

### **ჰეპატიტის გაღაცემის გზანიდან გამომდინარე ინფისირების ყველაზე მაღალი რისკი აქვთ:**

- ნარკოტიკების ინექციური (ნემსით) გზით მომხმარებლებს;
- ადამიანებს, რომელთაც მრავალი სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ;
- სისხლის რეციპიენტებს (პაციენტებს, რომელთაც უტარდებათ სისხლის ან მისი კომპონენტების გადასსმა);
- ახალშობილებს, რომელთა დედები ინფიცირებულნი არიან;
- სამედიცინო პერსონალს.

## როგორ აღმოვაჩინოთ ჰეპატიტი?

იმისათვის, რომ დადგინდეს, დაავადებულია თუ არა ადამიანი, საჭიროა სისხლის გამოკვლევა ჰეპატიტზე. ჰეპატიტებისთვის დამასასიათებელია ე. წ. ინკუბაციური პერიოდი, ანუ დრო ინფიცირებიდან დაავადების ნიშნების გაჩენამდე, როდესაც ადამიანს არანაირი ჩივილი არ გააჩნია, მაგრამ შეუძლია ინფექცია სხვას გადასდოს. ეს პერიოდი 2-დან 6 თვემდე შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა ეს დრო სხვადასხვა ჰეპატიტისთვის განსხვავებულია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სმირ შემთხვევაში დაავადებას სიმპტომები არ გააჩნია (განსაკუთრებით

С ჰეპატიტს). აქედან გამომდინარე, ჰეპატიტებით დაავადების მაღალი რისკის მქონე ადამიანებმა სასურველია პერიოდულად ჩაიტარონ სისხლის ანალიზი, რათა დადებითი პასუხის შემთხვევაში დროულად მიმართონ სამედიცინო დაწესებულებას. ჰეპატიტზე სისხლის ანალიზის ჩატარება მიზანშეწონილია სარისკო ქცევებიდან (სავარაუდო ინფიცირებიდან) 2-3 თვის შემდეგ, რადგან ე.წ. ინკუბაციური პერიოდის ადრეულ სტადიაზე დაავადება ანალიზით შეიძლება არ გამოვლინდეს.

## როგორ მოვიქცეთ დაავადების შემთხვევაში?

თუ თქვენი სისხლის ანალიზმა დაადასტურა ჰეპატიტის არსებობა, აუცილებლად მიაკითხეთ ექიმს. მოუხედავად იმისა, რომ ჰეპატიტი შეიძლება გამოჯანსაღებით დამთავრდეს, უმეტეს შემთხვევებში, განსაკუთრებით ქრონიკული (გახანგრძლივებული) ფორმის დროს, ჰეპატიტი ძირითადად ძნელად ექვემდებარება მკურნალობას. შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ჰეპატიტის სრული განკურნება პრობლემატურია, თუმცა შესაძლებელია დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შენარჩუნება, თუ ადამიანი უარს იტყვის ისეთ ტოქსიურ ნივთიერებებზე, როგორცაა ალკოჰოლი და ნარკოტიკები. სასურველია

აგრეთვე შეიზღუდოს ცხარე და ცხიმოვანი (განსაკუთრებით ცხოველური ცხიმის შემცველი) საკვები, ჭამოთ ხშირად (4-6 ჯერ დღეში) და ცოტა.

გასსოვდეთ, რომ **B** ჰეპატიტის შემთხვევაში თქვენი სქესობრივი პარტნიორი აგრეთვე იმყოფება ინფიცირების რისკის ქვეშ. პრეზერვატივის გამოყენება დაიცავთ ამ დაავადების გაფრცელებისგან. სპეციალური რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის აგრეთვე სჯობს მიმართოთ ექიმს.

**არ მიიღოთ ალკოჰოლი და ნარკოტიკები,  
იხილი მცირე რაოდენობითაც  
დამლუკველად მოქმედებენ ღვიძლის  
უჯრედებზე.**

## სქმსოზრივი გზით პალამღვი ინჟექციები

### რა არის სქმსოზრივი გზით პალამღვი ინჟექციები (სგვი)?

ეს ისეთი დაავადებებია, რომელთა გადაცემა უპირატესად ხდება ინფიცირებულ ადამიანთან ვაგინალური, ორალური, ანალური ჰეტეროსექსუალური (მამაკაცი ქალთან) და ჰომოსექსუალური (მამაკაცი მამაკაცთან) დაუცველი სქესობრივი კონტაქტის შედეგად.

დღეისათვის ოცდაათამდე სგვი-ა ცნობილი, მათგან ყველაზე ხშირად გვხვდება: სიფილისი, გონორეა, ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი, სასქესო ორგანოების პერპეტი, შედარებით იშვიათად - ჰეპატიტი B, აივი-ინფექცია/შიდსი და სხვა.

### მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ზოგადად შეეხება სქმსოზრივი გზით პალამღვი ინჟექციებს

1. ზოგ შემთხვევაში სგვი მიმდინარეობს ფარულად, დაავადების დამახასიათებელი ნიშნების (სიმპტომების) გარეშე; არ იწვევს ჩივილებს, ამიტომ ადამიანი ვერ ხვდება, რომ ის დაავადებულია;
2. სგვი-თ ინფიცირებისას აუცილებელია სამედიცინო ჩარევა

(მკურნალობა). ორგანიზმს არ შესწევს უნარი, თვითონვე დამოუკიდებლად მოერიოს დაავადებას;

- 3.** თუ სვეტი დროულად არ იქნა ნამკურნალევი, მას შეუძლია სერიოზული გართულებები გამოიწვიოს;
- 4.** რაც უფრო ადრე მიმართავ კეიმს, მით მეტია შანსი: განიკურნო სწრაფად; არ განვივითარდეს გართულებები; არ გადასდო დაავადება შენს პარტნიორს;
- 5.** მკურნალობის დროს ალკოჰოლის მიღება კატეგორიულად აკრძალულია;
- 6.** სვეტი განსაკუთრებით საშიშია ორსულობისას, იგი შეიძლება გადაეცეს ახალშობილს. გაუფრთხილდი საკუთარ ოჯახს;
- 7.** აივი-ინჟექცია/შიდსი, სიფილისი, ჰეპატიტი გადაეცემა არა მარტო სქესობრივი გზით, არამედ დაავადებული ადამიანის სისხლთან კონტაქტითაც;
- 8.** არ მიმართო თვითმკურნალობას სვეტი-თ დაინფიცირების შემთხვევაში. არასწორმა მკურნალობამ შესაძლებელია სერიოზული გართულებები გამოიწვიოს.

**ბახსოვდეს! სვბი-ს ბაღაცემა  
შესაძლებელია ნებისმირი სახის  
სქესობრივი კონტაქტის ღროს, იქნება ეს  
ვაბინალური, ანალური თუ ორალური.**

**რა ნიშნები (სიმპტომები) ახსნიან სვბი-ს?**

- წვა და ქვილი სასქესო ორგანოების მიღამოში;
- უჩვეულო გამონადენი სასქესო ორგანოებიდან;
- შეწითლება, გამონაყარი, წყლულების ან მეჭვებების გაჩენა სასქესო ორგანოების მიღამოში;
- გაზშირებული და მტკივნეული შარდვა;





### **რა გართულებები ახსნიათვის სპი-ს?**

- ქრონიკული (გახანგრძლივებული) მიმდინარეობა;
- პროსტატის ანთეზა (პროსტატიტი);
- იმპოტენცია;
- უმეილობა;
- შინაგანი ორგანოების (ღვიძლი, თირკმელი, თავის ტვინი და სხვა) დაზიანება;
- თვითნებური აბორტი (მუცლის მოშლა)

### **როგორ უნდა გაიგო, ხარ თუ არა დაინფიცირებული?**

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ექიმის კონსულტაცია და სპეციალური ანალიზების ჩატარება.



### **გონორეა (ტრიპერი)**

ამ დაავადებას იწვევს ბაქტერია – გონოკოკი. გონორეით დაინფიცირების ძირითადი გზა არის დაუცველი (პრეზერვატივის გარეშე) სქესობრივი კონტაქტი. გონორეამ შესაძლებელია დააზიანოს არა მარტო შარდისსქესო სისტემა, არამედ სწორი ნაწლავი, ყელის და საყლაპავის ღორწოვანი

გარსი, თვალის გარსები. ეს დამოკიდებულია სქესობრივი კონტაქტის სახეზე (ვაგინალური, ორალური, ანალური). გონორეით დაინფიცირება შესაძლებელია პირადი ჰიგიენის საშუალებების (პირსახოცი, საბანაო ღრუბელი ("МОЧАЛКА"), და სხვა) ერთობლივი მოხმარებითაც.

### **გონორეისთვის ღამასასიათვავალი კლინიკური ნიშნავია:**

- მომწვანო-მოყვითალო ფერის ჩირქოვანი გამონადენი (განსაკუთრებით მამაკაცებში) სასქესო ორგანოდან;
- მტკივნეული და გახშირებული შარდვა;

კლინიკური ნიშნები ჩნდება დაინფიცირებიდან დაახლოებით 3-7 დღის განმავლობაში. 10-14 დღის შემდეგ სიმპტომები მკურნალობის გარეშე შეიძლება გაქრეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაავადება ქრონიკულ (გახანგრძლივებულ) სტადიაში გადავიდა, რამაც შესაძლოა სერიოზული გართულებები გამოიწვიოს, მათ შორის უშვილობა როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში.

## ბახსოვლეს:

- გონორეის დიაგნოსტიკება ხდება სპეციალური ანალიზის საშუალებით.
- დროული მკურნალობა ეფექტურია და საშუალებას მოგვცემს თავიდან აიცილო მძიმე გართულებები.
- თვითმკურნალობამ შეიძლება შეამციროს დაავადების ნიშნების ინტენსივობა ან სრულიად გააქროს, რაც არ ნიშნავს საბოლოო განკურნებას.

**თუ გსურს თავიდან აიცილო გონორეა, გამოიყენე პრეპარატივი ყოველი სქესობრივი კონტაქტის დროს.**



## სიფილისი (ათაჟანგი)

სიფილისის იწვევს ბაქტერია-მერთალი ტრეპონემა. ეს ბაქტერია შესაძლოა მოხვდეს ორგანიზმში სასქესო ორგანოებიდან, უკანა ტანიდან, პირის ღრუდან და ა.შ. იმის მიხედვით, თუ რა სახის სქესობრივ კონტაქტს (ვეგინალური, ანალური, ორალური) ჰქონდა ადგილი.

სიფილისის მიმდინარეობაში გამოყოფენ 3 სტადიას:

1. პირველადი სიფილისი – ორგანიზმში სიფილისის შეჭრის ადგილას, 1-4 კვირის შემდეგ ჩნდება მრგვალი ფორმის, უმტკივნეულო, პატარა წყლული, ე.წ. მაგარი შანკრი, რომელიც რამოდენიმე კვირის შემდეგ ქრება;
2. მეორადი სიფილისი – გამოჩნდება კანზე ლაქების სახით, მათ შორის ხელის და ფეხის გულუბზეც;
3. მესამეული სიფილისი – ვითარდება რამოდენიმე წლის შემდეგ და იწვევს გულ-სისხლძარღვთა, ნერვული სისტემის და სხვა შინაგანი ორგანოების სერიოზულ დაზიანებას. მკურნალობის გარეშე სიფილისი იწვევს სიკვდილს.

## ბასსოვლეს:

- სიფილისი გადაეცემა არა მარტო სქესობრივი გზით, არამედ სისხლით კონტაქტისა და დაავადებულთან მჭიდრო საყოფაცხოვრებო ურთიერთობისას (საერთო ტუალეტი, პირსახოცი, საერთო საწოლი და ა.შ.) გარდა ამისა, სიფილისი შეიძლება გადაეცეს დაავადებულ დედლიდან ახალშობილს.

- სიფილისის დიაგნოსტიკა ხდება სისხლის სპეციალური ანალიზის საშუალებით.
- სიფილისის მკურნალობა უნდა დაიწყოს რაც შეიძლება ადრე.
- დროული მკურნალობა ეფექტურია და საშუალებას მოგცემს თავიდან აიცილო მძიმე გართულებები.
- არანამკურნალევი სიფილისი საბოლოოდ აუცილებლად გამოიწვევს სიცოცხლისათვის საშიშ გართულებებს და სიკვდილს!

**თუ გსურს თავიდან აიცილო სიფილისი, გააოიყენე არაზეარვატინი ყოველი სქანობრივი კონტაქტის დროს.**



## ქლამიდიოზი

ქლამიდიოზს იწვევს ბაქტერია ქლამიდია. ქლამიდიოზით დაინფიცირების ძირითადი გზა დაუცველი (პრეზერვატივის გარეშე) სქესობრივი კონტაქტია. გამომწვევი აზიანებს არა მარტო სასქესო ორგანოებს, არამედ თვალებს, მუცლის ღრუს ორგანოებს, სახსრებს და ა.შ.

ქლამიდიოზის დროს სასქესო ორგანოებიდან შეიმჩნევა მცირე

რაოდენობით გამჭვირვალე წებოვანი გამონადენი, კაცებში ვლინდება შარდვის გაძნელება, თუმცა უფრო სშირად დაავადება მიმდინარეობს ფარულად - დამახასიათებელი ნიშნების (სიმპტომების) გარეშე.

### ბასსოვლეს:

- უმრავლეს შემთხვევაში ქლამიდიოზი მიმდინარეობს სიმპტომების გარეშე!
- ქლამიდიოზი ერთ-ერთი მიზეზია უშვილობისა როგორც კაცებში, ასევე ქალებში.
- ქლამიდიოზი შესაძლოა დაავადებული დედიდან გადაეცეს
- ახალშობილს.
- ქლამიდიოზის ღიაგნისტიკა ხდება სპეციალური ანალიზის საშუალებით.
- ქლამიდიოზის მკურნალობის ადრეულ ეტაპზე დაწყება ზრდის მკურნალობის ეფექტურობას და ამცირებს გართულების რისკს.

**თუ გსურს თავიდან აიცილო ქლამიდიოზი, გამოიყენე პარაპარაზივი ყოველი სქსოვრივი კონტაქტის დროს.**



## ტრიქომონიაზი

ტრიქომონიაზს იწვევს ერთუჯრედიანი პარაზიტი - ტრიქომონადა. იგი შეიძლება წარმოვიდინოთ, როგორც „პატარა ცხოველი,“ რომელსაც შეუძლია „გადავლავლოს,“ სხვა სველი-ს გამოძწვევი (მაგ. გონორეის, ქლამიდიის და სხვა). აქედან გამომდინარე ტრიქომონიაზის დროს მოსალოდნელია „სიურპრიზები,“ სხვა სქესობრივი გზით გადადები ინფექციების გამოვლენის სახით ანუ შესაძლებელია განიკურნო ტრიქომონიაზისგან, მაგრამ შემდეგ აღმოგჩნდეს სქესობრივი გზით გადადები სხვა დაავადება (მაგ. გონორეა, ქლამიდია და სხვა) ტრიქომონიაზის გადაცემის ძირითადი გზა დაუცველი (პრეზერვატივის გარეშე) სქესობრივი კონტაქტია.

### **ტრიქომონიაზისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები:**

- ძლიერი ქავილი და გაღიზიანება სასქესო ორგანოების არეში.
- ქავიანი არასასიამოვნო სუნის მქონე გამოზღენი.

## ბასსოვლეს:

- ტრიქომონიაზი ძირითადად სასქესო ორგანოებს აზიანებს; მამაკაცებში უპირატესად ზიანდება პროსტატა (წინამდებარე ჯირკვალი) და შარდსადენი;
- მამაკაცებში ტრიქომონიაზი ძირითადად უსიმპტომოდ მიმდინარეობს; მკურნალობის არარსებობის ან არასაკმარისი მკურნალობის შემთხვევაში დაავადება გადადის ქრონიკულ სტადიაში პერიოდული გამწვავებებით;
- ტრიქომონიაზი, ისევე როგორც ქლამიდოზი ხშირად უმწიფლობის მიზეზი ხდება;

**თუ გსურს თავიდან აიცილო ტრიქომონიაზი, გამოიყენე პრეპარატივი ყოველი სქესობრივი კონტაქტის დროს.**

## კანის ღაავადებები

კანის დაავადებების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირადი ჰიგიენის დაცვას. ზოგიერთი კანის დაავადება საკმაოდ ადვილად გადაეცემა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით (პირსახოცი, თეთრეული, ტანსაცმელი და ა. შ.), ხოლო მათი განკურნება დიდ დროს საჭიროებს. სწორედ ამიტომ, ამ დაავადებების თავიდან ასაცილებლად მეტად მნიშვნელოვანია პირადი ჰიგიენის დაცვა, განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის



დაწესებულებებში, რადგანაც ამ დაწესებულებებში განთავსებული დაამიანები საკმაოდ მჭიდრო საყოფაცხოვრებო ურთიერთობის პირობებში იმყოფებიან.

## მუნი

მუნი პარაზიტული დაავადებაა, რომელსაც იწვევს თვალით შეუმჩნეველი მუნის ტკიპი. მუნის გადაცემა ხდება საყოფაცხოვრებო ურთიერთობით (საერთო თეთრეულის, ტანსაცმლის და ა.შ. გამოყენებისას).

მუნის სიმპტომებია: წვრილმარცვლოვანი გამონაყარი ტანზე, თითებს შორის, სასქესო ორგანოების მიდამოში, რომელიც ხასიათდება ძლიერი ქავილით, განსაკუთრებით ღამით.

მუნის მკურნალობა სიმძლეეს არ წარმოადგენს, თუმცა აუცილებელია ექიმის კონსულტაცია.

პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა თავიდან აგაცილებს მუნს და მასთან დაკავშირებულ უსიამოვნებებს – ნუ გამოიყენებ სხვის ტანსაცმელს და თეთრეულს.

## მიკოზები (კანის სოკოვანი დაზიანება)

მიკოზებს იწვევს სოკო. სოკოს გადაცემა შესაძლებელია ისეთი საყოფაცხოვრებო ნივთების ერთობლივი გამოყენებისას, როგორცაა პირსახოცი, თეთრეული, საბანაო ღრუბელი (“мочалка”), ფეხსაცმელი. ხშირად სოკოთი დაავადება ხდება აბანოებში ფეხშიშველი სიარულისას. მიკოზი, უფრო ხშირად იწყება ფეხის თითებიდან. თითებს შორის კანი იწყებს აქერცვლას და აღინიშნება ძლიერი ქავილი. შემდგომში ზიანდება ფრჩხილები – ისინი ხდება მსხვრევადი და შრეველება. შესაძლებელია ფრჩხილებს განუვითარდეს უხეულო, არასასიამოვნო

გამონაზარდი. სოკო შესაძლებელია განვითარდეს საზარდულის მიდამოშიც (სასქესო ორგანოების მიდამოში), რაც იწვევს ამ მიდამოში კანის შეწითლებას და ქავილს.

მიკოზების ძირითადი ნიშანი (სიმპტომი) არის ძლიერი ქავილი დაზიანებულ ადგილას. გაღიზიანების (კანის მოფხანის) შედეგად ადგილი აქვს კანის აქერცვლას.

მიკოზების მკურნალობა საკმაოდ დიდ დროს (რამოდენიმე თვეს) გრძელდება და მკურნალობისთვის აუცილებელია ექიმის კონსულტაცია.

### **თუ გსურს თავიდან აიცილო მიკოზები და გასთან დაკავშირებული უსიამოვნებები:**

- არ იარო აბანოში ფეხშიშველმა;
- არ გამოიყენო სხვისი ფეხსაცმელი და „ჩუსტები“, („შლოპანცები“);
- არ გამოიყენო სხვისი პირსახოცი, თეთრეული, საბანაო ღრუბელი („мочалка“) და სხვა;
- ფეხების დაბანის შემდეგ შეეცადე რაც შეიძლება კარგად გაიმშრალო ისინი, განსაკუთრებით თითებს შორის;

### **ბახსოვლეს:**

პირადი ჰიგიენის დაცვა თავიდან აგაცილებს მრავალ დაავადებას და მათთან დაკავშირებულ უსიამოვნებებს!

## **შინარჩუნე ჯანმრთელობა იძულებითი იზოლაციის პირობაში!**

ეს საკმაოდ ძნელი ამოცანაა. ზოგმა შეიძლება თქვას, რომ ეს შეუძლებელია,

### **მაგრამ ...**

გახსოვდეს, რომ სიცოცხლე გრძელდება - იფიქრე მომავალზე!

ყოველდღიურად იზრუნე შენს ჯანმრთელობაზე.

გახსოვდეს, ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმა შესაძლებელია სავალალო მდგომარეობამდე მიგიყვანოს.

იმედია ბროშურის გაცნობის შემდეგ ფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იძულებით იზოლაციის პირობებში იმყოფები.

კონსულტაციებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური  
ცენტრი "თანადგომა"

თბილისი  
ტელ.: 25 18 19

ბათუმი  
ტელ.: 7 42 13

ვებ-გვერდი: [www.tanadgoma.ge](http://www.tanadgoma.ge)

კონსულტაციები უფასო და ანონიმურია

